სს ნიკორა

ინდივიდუალური შუალედური ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 30 ივნისს დასრულებული ექვსი თვისთვის

არა-აუდიტირებული

სარჩევი

ინდივიდუალური შუალედური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3
ინდივიდუალური შუალედური მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 4
კაპიტალში ცვლილების ინდივიდუალური შუალედური ანგარიშგება 5
ფულადი ნაკადების მოძრაობის ინდივიდუალური შუალედური ანგარიშგება 6
ინდივიდუალური შუალედური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 7
ინდივიდუალური შუალედური მმართველობითი ანგარიშგება 15

ინდივიდუალური შუალედური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

'000 ლარი	**30.06.2023**	**31.12.2022**	**30.06.2022**	**31.12.2021**
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7,837	7,853	8,482	7,634
საინვესტიციო ქონება	42,983	38,725	32,124	32,124
არამატერიალური აქტივები	131	144	157	171
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	78,838	78,441	73,316	69,214
სხვა ფინანსური აქტივები	-	128	-	-
გაცემული სესხები	19,293	19,293	18,633	18,833
	149,082	**144,584**	**132,712**	**127,976**
მოკლევადიანი აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,644	970	7,643	1,017
გაცემული სესხები.	532	539	1,185	526
ფული და ფულის ეკვივალენტი	47	2,753	1	1,218
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	-	96
	3,223	**4,262**	**8,829**	**2,857**
სულ აქტივები	**152,305**	**148,846**	**141,541**	**130,833**
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
ჩვეულებრივი აქციები	6,471	6,471	6,471	6,471
პრივილეგირებული აქციები	19,463	19,546	18,962	19,158
გამოსყიდული ჩვეულებრივი აქციები	(501)	(501)	(631)	(728)
გადაფასების რეზერვი	2,505	2,505	2,457	2,548
გაუნაწილებელი მოგება	66,142	66,593	62,938	56,582
	94,080	**94,614**	**90,197**	**84,031**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები და ობლიგაციები	48,234	47,468	17,444	15,450
	48,234	**47,468**	**17,444**	**15,450**
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,938	5,892	1,211	2,346
სესხები და ობლიგაციები.	4,053	872	32,689	29,006
	9,991	**6,764**	**33,900**	**31,352**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**152,305**	**148,846**	**141,541**	**130,833**

ირაკლი ბოქოლიშვილი
გენერალური დირექტორი

ირაკლი გეჯაძე
ფინანსური დირექტორი

ინდივიდუალური შუალედური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

'000 ლარი	**30.06.2023**	**31.12.2022**	**30.06.2022**	**31.12.2021**
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7,837	7,853	8,482	7,634
საინვესტიციო ქონება	42,983	38,725	32,124	32,124
არამატერიალური აქტივები	131	144	157	171
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	78,838	78,441	73,316	69,214
სხვა ფინანსური აქტივები	-	128	-	-
გაცემული სესხები	19,293	19,293	18,633	18,833
	149,082	**144,584**	**132,712**	**127,976**
მოკლევადიანი აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,644	970	7,643	1,017
გაცემული სესხები.	532	539	1,185	526
ფული და ფულის ეკვივალენტი	47	2,753	1	1,218
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	-	96
	3,223	**4,262**	**8,829**	**2,857**
სულ აქტივები	**152,305**	**148,846**	**141,541**	**130,833**
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
ჩვეულებრივი აქციები	6,471	6,471	6,471	6,471
პრივილეგირებული აქციები	19,463	19,546	18,962	19,158
გამოსყიდული ჩვეულებრივი აქციები	(501)	(501)	(631)	(728)
გადაფასების რეზერვი	2,505	2,505	2,457	2,548
გაუნაწილებელი მოგება	66,142	66,593	62,938	56,582
	94,080	**94,614**	**90,197**	**84,031**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები და ობლიგაციები	48,234	47,468	17,444	15,450
	48,234	**47,468**	**17,444**	**15,450**
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,938	5,892	1,211	2,346
სესხები და ობლიგაციები.	4,053	872	32,689	29,006
	9,991	**6,764**	**33,900**	**31,352**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**152,305**	**148,846**	**141,541**	**130,833**

ირაკლი ბოქოლიშვილი
გენერალური დირექტორი

ირაკლი გეჯაძე
ფინანსური დირექტორი

ინდივიდუალური შუალედური მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი

	2023 H1	2022 H1
შემოსავალი დივიდენდებიდან	7,036	3,899
საიჯარო შემოსავალი	2,116	2,072
ამონაგები	1,499	1,438
საპროცენტო შემოსავალი	1,411	1,314
მოგება ინვესტიციების გასვლიდან	1,043	-
ხელფასის ხარჯი	(1,656)	(1,419)
სხვა ხარჯები	(682)	(905)
საპროცენტო ხარჯი	(3,135)	(2,671)
წმინდა მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან	196	971
მოგება დაბეგვრამდე	**7,828**	**4,699**
მოგების გადასახადის ხარჯი	(1,243)	(687)
წმინდა მოგება	**6,585**	**4,012**
ძირითადი საშუალების გადაფასება	-	-
სრული შემოსავალი	**6,585**	**4,012**

კაპიტალში ცვლილების ინდივიდუალური შუალედური ანგარიშგება

'000ლარი	ჩვეულებრივია ქციები	პრივილეგირებულ იაქციები	გამოსყიდულისაკუთა რიაქციები	გადაფასებისრ ეზერვი	გაუნაწილებელ იმოგება	სულ
1 იანვარი 2022	**6,471**	**19,158**	**(728)**	**2,548**	**56,582**	**84,031**
პერიოდის მოგება	-	-	-	-	4,012	4,012
დივიდენდი ჩვეულებრივ აქციებზე	-	-	-	-	(3,193)	(3,193)
დივიდენდი პრივილეგირებულ აქციებზე	-	-	-	-	(707)	(707)
გადაფასების რეზერვის გადასვლა გაუნაწილებელ მოგებაში	-	-	-	(91)	91	-
აქციების გამოშვება	-	-	97	-	6,153	6,250
აქციების გამოსყიდვა	-	(196)	-	-	-	(196)
30 ივნისი 2022	**6,471**	**18,962**	**(631)**	**2,457**	**62,938**	**90,197**
1 იანვარი 2023	**6,471**	**19,546**	**(501)**	**2,505**	**66,593**	**94,614**
პერიოდის მოგება	-	-	-	-	6,585	6,585
დივიდენდი ჩვეულებრივ აქციებზე	-	-	-	-	(6,428)	(6,428)
დივიდენდი პრივილეგირებულ აქციებზე	-	-	-	-	(608)	(608)
აქციების გამოსყიდვა	-	(83)	-	-	-	(83)
30 ივნისი2023	**6,471**	**19,463**	**(501)**	**2,505**	**66,142**	**94,080**

ფულადი ნაკადების მოძრაობის ინდივიდუალური შუალედური ანგარიშგება

'000 ლარი	**2023 H1**	**2022 H1**
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	7,828	4,699
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	126	423
შემოსავალი დივიდენდიდან	(7,036)	(3,899)
საპროცენტო შემოსავალი	(1,411)	(1,314)
საპროცენტო ხარჯი	3,135	2,671
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	(196)	(971)
ცვლილება სამუშაო კაპიტალში		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/(შემცირება)	(1,674)	(21)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	(1,506)	(1,135)
ოპერირებიდან დაგენერირებული ფულადი სახსრები	**(734)**	**453**
გადახდილი პროცენტები	(3,089)	(2,571)
გადახდილი მოგების გადასახადი	(1,194)	(677)
წმინდა ფულის შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან	**(5,017)**	**(2,795)**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
საინვესტიციო ქონების და ძ. ს. სშეძენა	(4,770)	(2,245)
მიღებული პროცენტი	1,415	1,387
შვილობილ საწარმოში ინვესტიციის შემცირება/(ზრდა)	432	(4,099)
მიღებული დივიდენდები	7,043	3,900
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**4,120**	**(1,057)**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხებიდან და ობლიგაციებიდან მიღებული ფული	5,019	9,594
სესხებზე და ობლიგაციებზე გადახდილი ფული	(797)	(1,948)
საკუთარი აქციების გამოსყიდვა	(131)	(1,262)
საკუთარი აქციების გაყიდვა	1,175	175
გადახდილი დივიდენდები	(7,036)	(3,899)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	**(1,770)**	**2,660**
წმინდა ფულის ზრდა	**(2,667)**	**(1,192)**
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე	(39)	(25)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	**2,753**	**1,218**
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	**47**	**1**

ინდივიდუალური შუალედური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

სს "ნიკორა" ("კომპანია") არის ნიკორას ჯგუფში შემავალი კომპანიების მშობელი საწარმო. კომპანია დაარსდა 1998 წელს, საქართველოში.

სს „ნიკორა" ფლობს უძრავ ქონებას, მიწისა და შენობების სახით, რომლებსაც აქირავებს შვილობილ კომპანიებზე და შედეგად საიჯარო შემოსავალი წარმოადგენს კომპანიის შემოსავლის ერთ ერთ ძირითად წყაროს. იგი ასევე უზრუნველყოფს შვილობილ კომპანიებს მმართველობითი და საკონსულტაციო მომსახურებით და იღებს დივიდენდებს შვილობილი კომპანიებიდან.

2. შედგენის საფუძველი

წარმოდგენილი ინდივიდუალური შუალედური ფინანსური ანგარიშგება არა-აუდირებულია და ეფუძნება მენეჯმენტის გათვლებს.

2.1 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, ვინაიდან ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ასეთი წარდგენა უფრო მისაღებია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში, დამრგვალებულია ათასამდე სიზუსტით.

2.2 შვილობილი კომპანიები

2023 წლის 30 ივნისის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ მოქმედ შვილობილ კომპანიებს:

დასახელება	30.06.2023	31.12.2022	საქმიანობის სფერო
სს ნიკორა ტრეიდი	96.6%	96.9%	საცალო გაყიდვა
შპს მილა საქართველო	50%	50%	ვაჭრობა
შპს ნიკორა	100%	100%	ხორცპროდუქტების წარმოება
შპს კორიდა	100%	100%	ხორცპროდუქტების წარმოება
შპს ოკეანე	100%	100%	ზღვის პროდუქტების წარმოება
შპს ჩვენი ფერმერი	100%	100%	რძის პროდუქტების წარმოება
შპს მზარეული 1	80%	100%	პურპროდუქტების წარმოება
შპს კულინარი	50%	50%	სალათების წარმოება
შპს პარტნიორი	100%	100%	დისტრიბუცია
შპს ინტრეიდი	100%	100%	იმპორტი
შპს მულტიტრეიდი	100%	100%	იმპორტი
შპს ვაკიჯვრის კალმახი	94%	94%	კალმახის ფერმა
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	100%	100%	ვენახები
შპს ნიკორა ბაკურიანი	50%	50%	უძრავი ქონება
შპს რეფ ენ	50%	63.1%	უძრავი ქონება

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსით, რომელიც 2023 წლის 30 ივნისისთვის ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6177 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 2,8591 ლარს. (2022 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.7020 ლარი და ერთი ევრო 2,8844 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.
საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ფულადი მუხლებისთვის ასახულია ინდივიდუალურ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

პროდუქციის წარმოების, საქონლის მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოყენებული მიწა და შენობები ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია გადაფასებული ღირებულებით, რაც შემცირებულია ბოლო გადაფასების შემდეგ დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (თუკი გაუფასურებას ქონდა ადგილი) ღირებულებით. ძირითადი საშუალების გადაფასების დროს, გადაფასების დღისათვის დაგროვილი ცვეთა აკლდება მთლიან საბალანსო ღირებულებას და ნეტო თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული თანხით. გადაფასებები დამოუკიდებელ შემფასებელთა მიერ ტარდება ისეთი ინტერვალით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან რაც მას ექნებოდა პერიოდის ბოლოს, რომ მომხდარიყო მისი რეალური ღირებულებით შეფასება. იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს გარემოებების არსებითად ცვლილებას, რეალური ღირებულება ფასდება ყოველწლიურად.
ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი ჩაირთვება სხვა სრულ შემოსავლებში (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც იმავე აქტივთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვის შემცირება წინა პერიოდში უკვე აღიარებული იყო მოგება-ზარალში, ასეთ შემთხვევაში გადაფასების რეზერვის ზრდა მოგება-ზარალზე აღირიცხება წინა პერიოდში შემცირებული თანხის მოცულობით), ხოლო გადაფასების რეზერვი კაპიტალში. საბალანსო ღირებულების შემცირება, რომელიც გამოწვეულია გადაფასებით აღირიცხება მოგება-ზარალში, რადგან საბალანსო ღირებულება აღემატება ძირითადი საშუალების რეალურ ღირებულებას, ხოლო თუ არსებობს წინა პერიოდში ძირითადი საშუალების გადაფასებით წარმოქმნილი რეზერვი ხდება მისი შემცირება. გადაფასების რეზერვის გადატანა ხდება გაუნაწილებელ მოგებაზე თუ მოხდა მასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებების გაყიდვა ან სხვა ფორმით მისი აღიარების შეწყვეტა.
ძირითადი საშუალებების სხვა ჯგუფები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები. ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.
ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომიგამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი არის ისეთ მდგომარეობაში, რომელიც შეესაბამება ხელმძღვანელობის მიერ დასახულ მიზნებს.

	მომსახურების წელი
შენობები	5 - 70
მანქანა–დანადგარები	2 - 25
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	3 - 20
ავეჯი, ოფისის და სხვა აღჭურვილობა	1 - 20
ტრანსპორტი	

3.3 საინვესტიციო ქონება

კომპანია საინვესტიციო ქონებას საწყისი აღიარებისას აღრიცხავს თვითღირებულებით, ხოლო შემდგომ საინვესტიციო ქონება ფასდება რეალური ღირებულებით. საინვესტიციო ქონებას კომპანია აქტივად აღიარებს როდესაც: ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს ამ ქონებასთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს; ბ) შესაძლებელია საინვესტიციო ქონების თვითღირებულების საიმედოდ შეფასება.
საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილებით გამოწვეული მოგება ან ზარალი ჩაირთვება იმ პერიოდის მოგება/ზარალში, როდესაც ეს ცვლილება მოხდა. რეალური ღირებულებით შეფასებულ საინვესტიციო ქონებას ცვეთა არ ერიცხება.
საინვესტიციო ქონებასთან დაკავშირებული საიჯარო შემოსავალი და საოპერაციო ხარჯები ჩართულია საიჯარო შემოსავალსა და სხვა ხარჯებში, შესაბამისად.
საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

3.4 ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში

კომპანიის კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები არიან შვილობილი საწარმოები. კონტროლში იგულისხმება კომპანიის მიერ ამ თუ იმ საწარმოში ფინანსური ან საოპერაციო პოლიტიკების მართვის უფლების (პირდაპირი ან ირიბი) განხორციელება, იმ მიზნით რომ კომპანიამ მიიღოს სარგებელი ამ საქმიანობიდან. წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციები შვილობილ საწარმოში აღრიცხულია თვითღირებულებით იმ თარიღიდან როდესაც გავრცელდა კონტროლი, მის დასრულებამდე.
კომპანია აღიარებს შემოსავალს შვილობილ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციებიდან მაშინ, როდესაც განხორციელდება დივიდენდების გამოცხადება აღნიშნულ საწარმოებში.

3.5 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე, რომელიც შეადგენს 5-7 წელს. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის

მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების უსასრულო ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს.

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

3.6 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (სავაჭრო მოთხოვნები, გაცემული სესხები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკით, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნებისა და საკონტრაქტო აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები და საკონტრაქტო აქტივი აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად „სხვა ხარჯების“ მუხლში მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებისა და საკონტრაქტო აქტივების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.
გაუფასურების რეზერვი გაცემულ სესხებზე აღიარდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელით. კომპანია ითვალისწინებს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ფინანსური აქტივის საწყის აღიარებასთან შედარებით. იმ შემთხვევაში თუ ადგილი არ აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, კომპანია აფასებს 12 თვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს სრულ საპროცენტო შემოსავალს. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში, ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და აღიარდება სრული საპროცენტო შემოსავალი. საკრედიტოდ გაუფასურებული სესხებისთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და აღიარდება წმინდა საპროცენტო შემოსავალი.
ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სხვა ფინანსურ აქტივებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს, მოთხოვნამდე დეპოზიტებს, სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლის დასრულების ვადაც განისაზღვრება სამი ან ნაკლები თვით.

ფინანსური ვალდებულებები
მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს შემდეგს: სესხებს და ობლიგაციებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.
ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა
კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგადაფარავს მაშინ, როდესაც ურთიერთგადაფარვა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

3.7 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

3.8 კაპიტალი

სააქციო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის მფლობელების მიერ. სააქციო კაპიტალი მოიცავს ჩვეულებრივ აქციებს, რომელსაც აქვს ხმის უფლება და არაგამოსყიდვად პრივილეგირებულ აქციებს, რომელსაც არ აქვს ხმის უფლება. პრივილეგირებული აქციები აღირიცხება სააქციო კაპიტალში რადგან არ არის გამოსყიდვადი და გადასახდელი დივიდენდების ოდენობა განისაზღვრება ემიტენტის შეხედულებისამებრ.
აქციების ხელახალი გაყიდვით მიღებული ანაზღაურება ფასდება რეალური ღირებულებით. ნომინალურ ღირებულებაზე ნამეტით გაყიდული აქციებიდან მიღებული თანხები აღირიცხება, როგორც გაუნაწილებელი მოგება, ხოლო აქციების გამოსყიდვაში ნომინალურ ღირებულებაზე მეტი თანხის გადახდა აღირიცხება გაუნაწილებელ მოგებაზე.
კომპანია მფლობელებისგან გამოსყიდულ აქციებს, შემდგომი გაყიდვის მიზნებისთვის აღიარებს გამოსყიდული საკუთარი აქციების მუხლში. იმ შემთხვევაში თუ გამოსყიდვის შემდეგ კომპანია აუქმებს აქციებს, აღირიცხება, როგორც სააქციო კაპიტალის შემცირება.
დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

3.9 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.
ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).
თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

3.10 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

3.11 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

3.12 ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე "კონტროლი" მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

კომპანია ამონაგებს იღებს შვილობილი კომპანიების მმართველობის მომსახურებიდან და როიალტიდან. კომპანია აღიარებს დროთა განმავლობაში თვეების პროპორციულად.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის ამონაგების ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები ამონაგების განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტები არის ფიქსირებულფასიანი, შესასრულებელი ვალდებულებაც კონტრაქტის მიხედვით არის საკონსულტაციო მომსახურების გაწევა და სახელის უფლებით სარგებლობა, რომელსაც აქვს ყოველთვიური ხასიათი. ყოველი თვის ბოლოს ხელშეკრულების თანხით კომპანია აღიარებს ამონაგებს.

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და

- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

3.13 იჯარა

გადაცემულ საიჯარო აქტივებთან დაკავშირებით კომპანიას არ აქვს გადაცემული საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, შესაბამისად გაცემული იჯარები განიხილება, როგორც საოპერაციო. კომპანია საოპერაციო იჯარიდან მიღებულ შემოსავალს აღიარებს, წრფივი მეთოდით, საიჯარო გადახდების შესაბამისად.

4. კაპიტალი და რეზერვები

4.1 სააქციო კაპიტალი

აქციონერები 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით წარმოდენილია ცხრილში:

აქციონერი	აქციების რაოდენობა '000	ღირებულება '000 ₾	აქციის ტიპი	ხმის უფლება %
სუხიაშვილი ვასილ	1,488	1,488	ჩვეულებრივი	24.9
გუბანოვი ოლეგ	647	647	ჩვეულებრივი	10.8
დუმბაძე დავით	679	679	ჩვეულებრივი	11.4
ტარადინი ვასილ	518	518	ჩვეულებრივი	8.7
სალუქვაძე მაკა	388	388	ჩვეულებრივი	6.5
ცერცვაძე გურამ	323	323	ჩვეულებრივი	5.4
გამოსყიდული საკუთარი აქციები	501	501	ჩვეულებრივი	-
სხვა	1,927	1,927	ჩვეულებრივი	32.3
სულ	**6,471**	**6,471**		**100.0**

აქციონერი	აქციების რაოდენობა	ღირებულება '000 ₾	აქციის ტიპი	ხმის უფლება %
ისაევი ანდრეი	78	12,248	პრივილეგირებული	-
Pelicans venture corp	20	2,692	პრივილეგირებული	-
ნიჟარაძე ტარას	10	1,430	პრივილეგირებული	-
მაზიაშვილი არჩილ	6	498	პრივილეგირებული	-
სს გალთ ენდ თაგარტი (ნომინალური მფლობელი)	6	734	პრივილეგირებული	-
სხვა	16	1,861	პრივილეგირებული	-
გამოსყიდული პრივილეგირებული აქციები	24	-	პრივილეგირებული	-
სულ	**160.0**	**19,463**		-

ჯგუფის სათაო კომპანიის, სს ნიკორას, სააქციო კაპიტალი 2023 წლის 30 ივნისისთვის მოიცავს 6,471 ათას ცალ ჩვეულებრივი კლასის აქციას, რომლებიც გამოშვებულია 1 ლარის ნომინალური ღირებულებით და ასევე, 160 ცალ (რომელთაგანაც განთავსებულია 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 145 ცალი) ცალ პრივილეგირებულ აქციას, რომლებიც გამოშვებულია 50,000 აშშ დოლარის ნომინალური ღირებულებით. განთავსებული ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციები სრულად ანაზღაურებულია.

ჩვეუბლებრივი აქციის მფლობელებს არ გააჩნიათ უფლება ფიქსირებულ შემოსავალზე. ხმის უფლებები ნაწილდება განთავსებული აქციების პროპორციულად. ჩვეულებრივი აქციის მფლობელებს აქვთ უფლება მიიღონ კომპანიის მიერ გამოცხადებული დივიდენდი.

არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული აქციების მფლოფელებს აქვთ უფლებამოსილება, მიიღონ წლიური დივიდენდი ფიქსირებული პროცენტით, რომელიც არ არის მუდმივი და შესაძლოა შეიცვალოს ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა გადაწყვეტილებით. პრივილეგირებულ აქციებს არ აქვს ხმის უფლება.

4.2 გამოსყიდული საკუთარი აქციები

2023 წლის 30 ივნისისთვის სს ნიკორას გამოსყიდული აქვს 501 ათასი საკუთარი ჩვეულებრივი აქცია (2022 წლის 31 დეკემბრისთვის 501 ათასი ცალი), რომლებიც აღრიცხულია მთლიანი ნომინალური ღირებულებით 501 ათასი ლარი.

4.3 სესხები და ობლიგაციები

2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით საბანკო სესხები არის 1-10 წლამდე ვადიანობის. ქართულ ლარში დენომინირებულ ცვალებად სესხებს აქვთ გადასახდელი წლიური პროცენტის მცოცავი განაკვეთი, რომელიც უთანაბრდება რეფინანსირების. დოლარში დენომინირებულ სესხებს აქვთ მცოცავი განაკვეთი მიბმული SOFR-ზე, მაგრამ არანაკლებ წლიური 6.35 %-სა. ფიქსირებული სესხები წარმოადგენს ლარებში ნომინირებულ სესხებს და მათი განაკვეთი არის 11 %. სესხები უზრუნველყოფილია ძირითადი საშუალებებით, საინვესტიციო ქონებით, სასაქონლო მარაგებით, სავაჭრო მოთხოვნებით, გაცემული სესხებით და შვილობილი კომპანიის წილით. სესხების უზრუნველყოფაში არსებული აქტივების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შესაბამისი აქტივების განმარტებითი შენიშვნები.

2019 წლის ოქტომბერში, კომპანიამ გამოუშვა 28 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციები. კომპანიას ობლიგაციებზე გადასახდელი აქვს წლიურად TIBR3M განაკვეთს დამატებული 4% (საშუალოდ 12.5%). ობლიგაციებზე კუპონი გადაიხდება ყოველკვარტალურად. ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და კომპანიის ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არა-სუბორდინირებულ ვალდებულებას. აღნიშნული ობლიგაცია დროულად დაფარულია 2022 წელს.

2022 წლის ნოემბერში კომპანიამ გამოუშვა 35 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციები. კომპანიას ობლიგაციებზე გადასახდელი აქვს წლიურად TIBR3M განაკვეთს (საშუალოდ 28 ნოემბრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე 11.1466%) დამატებული 3.5%. ობლიგაციებზე კუპონი/პროცენტი გადაიხდება ყოველკვარტალურად. ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და კომპანიის ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არა-სუბორდინირებულ ვალდებულებას.

სესხები და ობლიგაციები ითვალისწინებს გარკვეულ შემზღუდველ პირობებს. მოცემული გულისხმობს გარკვეული ფინანსურ და არაფინანსურ ვალდებულებების დაკმაყოფილებას, მათ შორის დივიდენდების გაცემასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ობლიგაციების მფლობელს/გამსესხებელს წარმოექმნება უფლება და არა ვალდებულება მოითხოვოს შესაბამისი სესხის სრული ან ნაწილობრივი დაფარვა ვადაზე ადრე.

ქვემოთ მოცემულია ობლიგაციებით და ცალკეული ბანკის სესხებით ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების/შეზღუდვების (ფინანსური კოეფიციენტების) ძირითადი ნაწილი, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს სს ნიკორა χგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დონეზე, ეს მოთხოვნები 2022 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით დაკმაყოფილებულია:

მომგებიანობიდან დათვლილი სესხის მომსახურების კოეფიციენტი მინიმუმ (DSCR)	1.1
ფულადი ნაკადებიდან დათვლილი სესხის მომსახურების კოეფიციენტი მინიმუმ (DSCR)	1.1
ვალდებულება EBITDA-სთან მაქსიმუმ (DEBT/EBITDA)	4.5 (4 ბანკის ხელშეკრულებით)

ერთ-ერთი ძირითადი ბანკის სესხის ხელშეკრულების მიხედვით χგუფს ნაკისრი აქვს ვალდებულება დაიცვას გარკვეული ფინანსური კოეფიციენტები, რომელიც გაიანგარიშება სპეციფიკური პრინციპით (ფასს-იდან განსხვავებული პრინციპით დაანგარიშებული მონაცემები) დაგენერირებული მონაცემებით χგუფის კონსოლიდირებულ და ნაწილობრივ კონსოლიდაციის დონეზე. 2022 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ამ მოთხოვნებთან დაკავშრებით კომპანიის გაანგარიშებებით გადახვევა არ დაფიქსირებულა.

4.4 ცვლილებები მმართველობით და სამეთვალყურეო საბჭოში

საანგარიშო პერიოდში (01/01/2023-30/06/2023) მმართველობით და წარმომადგენლობით ორგანოებში ცვლილებები არ მომხდარა.

სს ნიკორა

ინდივიდუალური შუალედური
მმართველობითი ანგარიშგება

2023 წლის 30 ივნისს დასრულებული ექვსი თვისთვის

წარმომადგენლობა და დათქმა

წინამდებარე დოკუმენტი, 2023 წლის 30 ივნისით დასრულებულ ნახევარწლიურ ინდივიდუალური შუალედურ არა-აუდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, მომზადებულია სააქციო საზოგადოება „ნიკორას“ მიერ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს ეროვნული ბანკის #181/04 ბრძანების მოთხოვნების საფუძველზე და წარმოადგენს სს „ნიკორას“ ინდივიდუალურ 2023 ნახევარ-წლიურ ანგარიშს.

სს ნიკორას 2023 წლის ნახევარ-წლიური ინდივიდუალური ანგარიში: ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და მმართველობითი ანგარიშგება არის სრული, სწორი და სამართლიანი.

განცხადებების ნაწილი, მოცემული ანგარიშგებაში, შესაძლებელია წარმოადგენდეს სამომავლო განცხადებებს, რომლებიც ეხება „კომპანიის“ გეგმებს, მოლოდინებს, პროგნოზებს, მიზნებს, სტრატეგიებს, სამომავლო მოვლენებს, სამომავლო შემოსავლებს, კაპიტალდაბანდებებს, ფინანსურ საჭიროებებს, სამომავლო ოპერაციებს, განვითარებას, ბიზნეს-სტრატეგიას და სხვა ინფორმაციას.

აღნიშნული სახის სამომავლო განცხადებები, ისევე როგორც გასული პერიოდის და მიმდინარე მდგომარეობის შესახებ გამოთქმული დასკვნები, რიგ შემთხვევაში ეფუძნება ჯგუფის მენეჯმენტის სუბიექტურ შეფასებას, გარკვეული დაშვებების გათვალისწინებით, განხორციელებულ ანალიტიკას დაკავშირებულს ბიზნესის ისტორიულ ტრენდთან, გარემო ეკონომიკური და სხვა ფაქტორების ტენდენციებზე დაკვირვებას, მესამე მხარეებისგან მოპოვებულ ინფორმაციას.

ირაკლი ბოქოლიშვილი

გენერალური დირექტორი

სს „ნიკორა“

ვასილ სუხიაშვილი

სამეთვალყურეო საბჭოს
თავმჯდომარე

სს „ნიკორა“

ირაკლი გეჯაძე

ფინანსური დირექტორი

სს „ნიკორა“

2023 წლის 14 აგვისტო

წარმომადგენლობა და დათქმა

წინამდებარე დოკუმენტი, 2023 წლის 30 ივნისით დასრულებულ ნახევარწლიურ ინდივიდუალური შუალედურ არა-აუდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, მომზადებულია სააქციო საზოგადოება „ნიკორას“ მიერ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს ეროვნული ბანკის #181/04 ბრძანების მოთხოვნების საფუძველზე და წარმოადგენს სს „ნიკორას“ ინდივიდუალურ 2023 ნახევარ-წლიურ ანგარიშს.

სს ნიკორას 2023 წლის ნახევარ-წლიური ინდივიდუალური ანგარიში: ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და მმართველობითი ანგარიშგება არის სრული, სწორი და სამართლიანი.

განცხადებების ნაწილი, მოცემული ანგარიშგებაში, შესაძლებელია წარმოადგენდეს სამომავლო განცხადებებს, რომლებიც ეხება „კომპანიის“ გეგმებს, მოლოდინებს, პროგნოზებს, მიზნებს, სტრატეგიებს, სამომავლო მოვლენებს, სამომავლო შემოსავლებს, კაპიტალდაბანდებებს, ფინანსურ საჭიროებებს, სამომავლო ოპერაციებს, განვითარებას, ბიზნეს-სტრატეგიას და სხვა ინფორმაციას.

აღნიშნული სახის სამომავლო განცხადებები, ისევე როგორც გასული პერიოდის და მიმდინარე მდგომარეობის შესახებ გამოთქმული დასკვნები, რიგ შემთხვევაში ეფუძნება ჯგუფის მენეჯმენტის სუბიექტურ შეფასებას, გარკვეული დაშვებების გათვალისწინებით, განხორციელებულ ანალიტიკას დაკავშირებულს ბიზნესის ისტორიულ ტრენდთან, გარემო ეკონომიკური და სხვა ფაქტორების ტენდენციებზე დაკვირვებას, მესამე მხარეებისგან მოპოვებულ ინფორმაციას.

ირაკლი ბოქოლიშვილი	ვასილ სუხიაშვილი
გენერალური დირექტორი	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
სს „ნიკორა“	სს „ნიკორა“

ირაკლი გეჯაძე

ფინანსური დირექტორი

სს „ნიკორა“

2023 წლის 14 აგვისტო

ნიკორას შესახებ მოკლედ

სს "ნიკორა" არის ნიკორას ჯგუფში შემავალი კომპანიების მშობელი საწარმო. კომპანია დაარსდა 1998 წელს, საქართველოში.

სს „ნიკორა", გარდა ინვესტიციებისა შვილობილ საწარმოებში, ფლობს უძრავ ქონებას მიწისა და შენობების სახით, რომელსაც იჯარით გასცემს ასევე შვილობილ კომპანიებზე და მიღებული საიჯარო შემოსავალი წარმოადგენს კომპანიის შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს. იგი ასევე უზრუნველყოფს შვილობილ კომპანიებს მმართველობითი და საკონსულტაციო მომსახურებით.

კომპანიის მიმოხილვა და განვითარების ისტორია

სს „ნიკორა" არის ჯგუფში შემავალი კომანიების მშობელი კომპანია, მართავს ინვესტიციებს მათში, ფლობს უძრავ ქონებას რომელსაც იჯარით გასცემს შვილობილ კომპანიებზე, რომელთაც აგრეთვე უწევს საკონსულტაციო და მმართველობით მომსახურეობას.

სრულად კონსოლიდირებული და ვერტიკალურად ინტეგრირებული შვილობილები წარმოადგენენ საოპერაციო ერთეულებს, რომლებიც კონცენტრირებას აკეთებენ ბიზნესის კონკრეტულ მიმართულებაზე. ვერტიკალური ინტეგრაცია საშუალებას აძლევს „ნიკორა ჯგუფს" თითოეულ ერთეულში მიაღწიოს რესურსების გამოყენების მაქსიმალურ ეფექტიანობას.

„ნიკორა ჯგუფის" ბიზნესი პირობითად ოთხ მიმართულებად შეიძლება დაიყოს: ა) კვების პროდუქტების წარმოება, რომელიც მოიცავს ხორცის, ზღვის პროდუქტების, რძის ნაწარმის, გამომცხვარი პროდუქციის, ნახევარფაბრიკატების და სალათების წარმოებას; საკვების წარმოებაში მონაწილეობენ შპს ნიკორა, შპს კორიდა, შპს მზარეული 1, შპს ჩვენი ფერმერი, შპს კულინარი, შპს ვაკიჯვრის კალმახი, შპს ოკეანე და შპს ნაფარეულის ძველი მარანი; ბ) საცალო ვაჭრობა, რომელიც ხორციელდება სს ნიკორა ტრეიდის მეშვეობით; გ) დისტრიბუცია, რომელსაც ახორციელებენ შპს პარტნიორი და შპს კორიდა; დ) სასმელების და საწარმოო ნედლეულის იმპორტი, რასაც შპს ინტრეიდი და შპს მულტიტრეიდი ახორციელებენ.

ჯილდოები

კომპანიის არსებობის განმავლობაში უამრავი ჯილდო აქვს მიღებული; თანმიმდევრულად მისდევს საკუთარ მიზნებს, იცავს ისეთ პრინციპებს, როგორიცაა მომხმარებლებისათვის ხარისხიანი პროდუქციის მიწოდება, თანამშრომლებისათვის სტაბილური სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა და მატერიალური ღირებულების შექმნა აქციონერებისთვის.

ხარისხის მართვის, როგორც წარმოებაში, მათ შორის სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების კუთხით, აგრეთვე გაყიდვებში და ზოგადად მენეჯმენტში, მაღალი სტანდარტების წლების განმავლობაში დაცვის შედეგად „ნიკორა" არაერთხელ გახდა საქართველოს პრესტიჟული სხვადასხვა ჯილდოს მფლობელი:

4.5 წლის ყველაზე პოპულარული კვების პროდუქტების მწარმოებელი კომპანია - 2003 წ.
4.6 წლის საუკეთესო დებიუტანტი კომპანია (ნახევარფაბრიკატი საკვები) - 2004 წ.
4.7 წლის რეპუტაცია და ნდობა - 2005 წ.
4.8 ხარისხის მართვის ISO 9001 : 2008 და სურსათის უვნებლობის ISO 22000 : 2005 (HACCP) სისტემების დანერგვა - 2008 წ.
4.9 ოქროს ბრენდი - 2005, 2009, 2015, 2016, 2017, 2018 წ.
4.10 ლიდერი კომპანია - 2007, 2009, 2013, 2014 წ.
4.11 წლის საუკეთესო კომპანია - 2013 წ.
4.12 ეროვნული ბიზნეს ჯილდო - 2016 წ.
4.13 დარგის ლიდერის ჯილდო (ხორცპროდუქტებისა და თევზეულის წარმოება) - 2015 წ.

ფინანსური ინფორმაცია

სს „ნიკორა“ ფლობს უძრავ ქონებას შენობა-ნაგებობების სახით, რომელებსაც იჯარით გასცემს შვილობილ კომპანიებზე და შედეგად საიჯარო შემოსავალი წარმოადგენს კომპანიის შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს. იგი ასევე უზრუნველყოფს შვილობილ კომპანიებს მმართველობითი და საკონსულტაციო მომსახურებით.

„კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგება წარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიხედვით 2013 წლიდან. წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილი წლიური ფინანსური ანგარიშგება აუდიტორულად შემოწმებულია შპს „ბიდიო აუდიტის“ მიერ.

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ელემენტების მიმოხილვა

აქტივები

2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით „კომპანიის“ სრულმა აქტივებმა ₾152.3 მილიონი შეადგინა, წინა წელს ეს მაჩვენებელი ₾141.5 მილიონი იყო.

აქტივების ზრდა და განაწილება





ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება წარმოადგენს აქტივების 33%-ს; ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოყენებული მიწა და შენობები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია გადაფასებული ღირებულებით, ხოლო საინვესტიციო ქონება, რომელიც ფლობაშია საიჯარო შემოსავლების გენერირების ან/და კაპიტალის ღირებულების გაზრდის მიზნით, თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით. მიწის, შენობების და საინვესტიციო ქონების ღირებულება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ (ან უფრო ხშირად, თუ საბაზრო პირობები მნიშვნელოვნად შეიცვალა) დამოუკიდებელი, შესაბამისი სერტიფიცირების მქონე, შემფასებლის მიერ დგინდება. ბოლოს ასეთი შეფასება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის განხორციელდა შპს სავი-ის მიერ საერთაშორისო შეფასების სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად (International Valuation Standards Committee 2013 - IVSC, მეათე გამოცემა).

ინდივიდუალური მოგება-ზარალის ანგარიშგების ელემენტების მიმოხილვა

კომპანიის საოპერაციო შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება მიწოდებული მომსახურებიდან და საინვესტიციო ქონების საოპერაციო იჯარიდან.

კომპანია თავის შვილობილ კომპანიებს უწევს საკონსულტაციო და მმართველობითი ადმინისტრირების მომსახურებას, ყოველთვიური ფიქსირებული გადასახადის სანაცვლოდ. შემოსავალი აღიარდება წრფივი მეთოდით, თითოეული ხელშეკრულების ვადის განმავლობაში. ვინაიდან ამ კონტრაქტებით შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა თვიდან თვემდე მნიშვნელოვნად არ იცვლება, წრფივი მეთოდი სამართლიანად ასახავს საქონლის ან მომსახურების მიწოდების ოპერაციებს. საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის გადაუხდელი ნებისმიერი თანხა, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია, როგორც მოთხოვნა, რადგან ამ თანხის გადახდამდე მხოლოდ გარკვეული დროა საჭირო.

საიჯარო შემოსავალი:

კომპანია ასევე იღებს შემოსავალს საინვესტიციო ქონების საოპერაციო იჯარიდან. საიჯარო შემოსავალი აღიარდება წრფივი მეთოდით, იჯარის სახელშეკრულებო პერიოდის განმავლობაში. საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის გადაუხდელი ნებისმიერი თანხა, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია, როგორც მოთხოვნა, რადგან ამ თანხის გადახდამდე მხოლოდ გარკვეული დროა საჭირო.

შემოსავალი დივიდენდებიდან:

შვილობილი კომპანიებიდან მიღებული დივიდენდები ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღირიცხება ცალკე, როცა კომპანიას უჩნდება დივიდენდების მიღების უფლება. დივიდენდების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში